572
1978/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1978 ნოემბერი N 11

ჭიკჭიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საზეიმო

ლიდა სტვილია

ვისაც შრომა ღირსებად
და გმირობად უცვნია,
იგი გახლავთ ოქტომბრის
დიდი რევოლუცია.
იმ დიდ რევოლუციას
ჩვენთვის ეზე მოუცია!
გავხდით ბედნიერები,
რომ ვიუავით ბედკრული,
ფერხულში ვართ ჩაბმული,
ძმობის წრე გვაქვს შეკრული.
თავისუფალ ცხოვრების
ცხრაკლიტული გაგვიღეს,
ვაშა!
სიდუხჭირიდან
სალსის დასნის თარიღებს!

ნახატი ფაუზ დეისაძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბავშვებო!

სამოცი წლის წინ—1918 წლის ოქტომბერში შეიქმნა კომკავშირი; ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი.

პირველი კომკავშირელები თქვენი დიდი პაპები და ბებიები იყვნენ. სწორედ ისინი იბრძოდნენ სამოქალაქო ომში, შემდეგ—აშენებდნენ დანგრეულ, გაპარტახებულ ქვეყანას, გაჰყავდათ გზები, არხები, აგებდნენ ქარხნებს, ფაბრიკებს.

კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწე—კომკავშირი მკერდით იცავდა ჩვენს სამშობლოს დიდ სამამულო ომში. გამარჯვების შემდეგ ისევ ხარაჩოებზე შედგა; აშენებდა დანგრეულ ქალაქებს, სოფლებს, ელსადგურებს, ითვისებდა ყამირ მიწებს, გზას იკვლევდა და იკვლევს ვარსკვლავებისკენ.

ჟურნალი „დილა“ თქვენი სახელით მიესალმება სამოცი წლის იუბილარს—კომკავშირს, ვინც ბრძოლისა და შრომის გმირული, სასახელო გზა განვლო ჩვენი მამულის სადიდებლად.

კომკავშირელები

დარბაზში ტევა არ იყო. პრეზიდიუმში სკამები არ ყოფნიდათ. უფრო ხანდაზმულები ისხდნენ. კომკავშირელებმა კი ფიცარნაგზე მოიკალათეს. ლენინი მიმოდიოდა და ლაპარაკობდა.

ბელადმა თქვა:

— ახლა კომკავშირელების ამოცანა სწავლაა.

ახალგაზრდებს გაუკვირდათ. მათ ყურადღებისაგან დაძაბულ სახეზე გადავლილი გაკვირვება და დაბნეულობა ადვილად შეამჩნია ვლადიმერ ილიას ძემ. შეეცადა გასაგებად აეხსნა თავისი ნააზრევი:

— მალე სამოქალაქო ომს დავამთავრებთ, მტერს გავაძევებთ. შემდეგ მშენებლობა უნდა დავიწყოთ; ავაგოთ ქარხნები, ფაბრიკები, გავაკეთოთ ტრაქტორები, თვითმფრინავები, მანქანები. განვახორციელოთ ქვეყნის ელექტროფიცირება... ძალიან ბევრი რამის ცოდნაა საჭირო!

ვლადიმერ ილიას ძემ უბრალოდ და გასაგებად დაუმტკიცა კომკავშირელებს, რომ ცოდნის გარეშე შეუძლებელია კომუნისტური საზოგადოების აშენება.

მარია პრილეჟაევას წიგნიდან

კ. მარქსის სახ. სოფ. სამ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთხი ამბავი ლენინზე ჟანდარმები

მიხეილ ზოშჩენკო

ოცდაექვსი წლის ლენინი უკვე საქვეყნოდ ცნობილი რევოლუციონერი იყო. მეფის მთავრობას ძალიან ეშინოდა მისი. ამიტომ მეფის ბრძანებით იგი დააპატიმრეს.

თოთხმეტი თვე ლენინმა ციხეში გაატარა. მერე კი ციმბირში გადაასახლეს სამი წლით.

ციმბირში ერთ გამოყრუებულ სოფელში ცხოვრობდა, მაგრამ ლენინს არც ამისი შეშინებია: იჯდა და თავაუღებლად მუშაობდა, წერდა, კითხულობდა, გლეხებთან საუბრობდა და რჩევა-დარიგებას აძლევდა...

თუ თავისუფალი დრო ჰქონდა, ნადირობდა, ან ჭადრაკს თამაშობდა. სხვათა შორის, ჭადრაკი თვითონ გააკეთა. ისეთი ნახელავი იყო, უკეთესს ვერც ინატრებდა. ასე გავიდა სამი წელი და განთავისუფლების დროც მოახლოვდა.

ვლადიმერ ილიას ძე უკვე გეგმებს აწყობდა ახალი რევოლუციური მუშაობისათვის, რომ... ჟანდარმები მოადგნენ.

— იცით რა, უნდა გაგჩხრიკოთ... თუ რაიმე საეჭვო ვნახეთ, სამი წლით კიდევ დაგტოვებთ ამ გამოყრუებულ სოფელში.

ერთი ჩაკურატებული, ულვაშგადაგრეხილი ჟანდარმი კარში ჩადგა, მეორე — ჩია ტანის ჟანდარმმა ოთახში მიმოიარა და იქაურობა გადააქოთა.

ლენინს აკრძალული წიგნები და რევოლუციური დოკუმენტები წიგნის კარადაში — ქვედა თაროზე ეწყო.

ჟანდარმი კარადასაც მიადგა:

— რა გაქვთ შიგ?

— წიგნებია! — მიუგო ლენინმა.

— აბა, ერთი, ვნახოთ, რა წიგნებია! — ჟანდარმმა კარადა მოათვალიერა, ფიქრობდა — საიდან დაეწყო.

„ნეტავ ზემო თაროებიდან დაიწყებდეს", — გაიფიქრა ვლადიმერ ილიას ძის მეუღლემ ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა. — „ვიდრე ბოლო თარომდე ჩამოვა, დაიღლება და თავს მიანებებს".

ლენინიც ამაზე ფიქრობდა.

უცებ ლენინმა გაიღიმა, აიღო სკამი და კარადას მიადგა:

— ეგრე ვერ შეწვდებით, სკამზე შედექით, გეთაყვა!

ჩია ჟანდარმმა ლენინს მადლობა გადაუხადა და სკამზე შედგა. სამ საათში მხოლოდ ოთხი თარო გადასინჯა. ისე დაიღალა, არაქათი აღარ ჰქონდა. მეხუთე თარო ისე, სხვათაშორის გადაათვალიერა.

— ძალიან გაგვიგრძელდა, არ მოგშივდა? — მთქნარებით ჰკითხა ჩაკურატებულმა ჟანდარმმა სკამზე შემდგარ ჩია ჟანდარმს.

— მოვრჩები და ვისადილოთ, ერთი თაროლა დამრჩა.

— დაანებე თავი, ხომ ხედავ, არაფერია, წავიდეთ, ვჭამოთ!

ჩია ჟანდარმმა ლენინს გადახედა:

— ასე რომ, საეჭვო ვერაფერი ვნახეთ, მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

ჟანდარმებმა რომ კარი გაიხურეს, ვლადიმერ ილიას ძემ და ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა ღიმილით გადახედეს ერთმანეთს.

თარგმნა **ენდი წერეთელმა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სადღესასწაულო სიმღერა

გივი ჭიჭინაძე

ინდი, მინდი,
ფერად შინდი!
ელავს შვიდი ფერი.
იმ შვიდ ფერში მირჩევნია
ყველას—შინდისფერი.
ინდი, მინდი,
ფერად შინდი!—
ტკბილად მივიმღერით.
თავს დაგვხარის ვარსკვლავი და
დროშაც შინდისფერი.
ინდი, მინდი,
ფერად შინდის
მზე—ლამაზ ფრთებს ჰკეცავს.
შუშხუნებში შვიდფრად
ბრწყინავს
საქართველოს ზეცა.

გიას სიხარული

ნოდარ შამანაძე

მოდი, მატარებელო,
გულის გამხარებელო!
მომიყვანე ბაბუა,
მომიყვანე ბებია,
შვიდ ნოემბერს მოვალთო,
დედას შეპირებიან.
შვიდ ნოემბერს მოვალთო,
ჩამოგიტანთ ბლომადო:
ჯაგანსა და ჩხასო,
ატამსა და მსხალსო,
ჩურჩხელების კონასო,
უშველებელ გოგრასო...
დილით გავალთ პარადზე,
თან წავიყვანთ გიასო,
დავესწრებით დიდ ზეიმს
და დროშების ფრიალსო.
მოდი, მატარებელო,
გულის გამხარებელო!

ნახატი **მანანა მორჩილაძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძველი წისქვილი

გურამ ვარაზანაშვილი

ნახატი ვახტანგ გულისაშვილისა

სოფლის ბოლოს ძველი წისქვილი იდგა. მართალია სოფელში ელექტრონის წისქვილიც ააშენეს, მაგრამ მოხუცი მეწისქვილე—დემეტრე პაპა მაინც არ თმობდა შეჩვეულ ადგილს.

ერთხელ ზურიკო და გოგა მეწისქვილემ ონავრობისათვის დატუქსა. იმ დღიდან ბიჭებმა გულში ჯავრი ჩაიდეს; შორიახლო, ბუჩქებში ჩაიმალებოდნენ ხოლმე და წისქვილს ქვებს უშენდნენ. ფქვილით გათეთრებულ კრამიტებს ლაწალუწი გაუდიოდა. გაბრაზებული დემეტრე პაპა გარეთ გამოვარდებოდა და ხელმოჩრდილული დიდხანს ყურადღებით იყურებოდა აქეთ-იქით.

ბუჩქებში ჩამალული ბიჭები მეწისქვილის უმწეობაზე ჩუმად ხითხითებდნენ.

— აი, დასწყევლოს ღმერთმა!—ბურტყუნებდა მოხუცი,–ვინ ეშმაკია, რომ აღარ მასვენებს.

ქვები კი სეტყვასავით ცვიოდა წისქვილის თავზე. ზოგჯერ სახურავიდან ასხლეტილი ქვა დემეტრე პაპას ფეხებთან ეცემოდა და ბაბინ შიშნაჭამი მოხუცი გვერდზე ხტებოდა.

— ჰეი, რომლები ხართ, თქვე უღმერთოებო!— ყვიროდა მოთმინებადაკარგული მეწისქვილე,— დაინგრა წისქვილი!

რომელიმე ბიჭი თავს ამოჰყოფდა ბუჩქებიდან და დაიძახებდა:

— გუგუ!

— გუგუ!—მხარს აუბამდა მეორეც.

— გუგუ თქვენა და თქვენს თავს! თუ ჩამივარდით ხელში, მე ვიცი თქვენი!..

იმ დღესაც ჩვეულებრივად ჩაიმალნენ ამოჩემებულ ადგილს და ატყდა ქვების რახარუხი წისქვილის სახურავზე.

როცა დაიღალნენ, შეჩერდნენ და მიაყურადეს. წისქვილიდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა. შეცბუნებულმა ბიჭებმა ქვები გვერდზე მიყარეს და ბუჩქებიდან გამოიჭყიტეს; წისქვილის კარი მჭიდროდ იყო დაგმანული. ფრთხილად, უხმაუროდ მიუახლოვდნენ წისქვილს. შიგნით საშინლად ხმაურობდნენ დოლაბები და სარეკელასაც ერთი ამბავი გაჰქონდა. გაუბედავად მიაწვნენ კარს. მძიმედ, ჭრიალით გაიღო კარი. ირგვლივ ბნელოდა, პირველად ვერაფერი გაარჩიეს, მერე თანდათან გამოიკვეთა ერთმანეთზე მიყრილი ფქვილით სავსე ტომრები, ხვიმირა და მბრუნავ ქვაზე მოხტუნავე სარეკელა. ჭერიდან ჩამოშვებული და ფქვილით შეთეთრებული აბლაბუდები ერთმანეთში ჩახლართულიყვნენ.

მოპირდაპირე კედელთან ხის ვიწრო ტახტი იდგა. ტახტზე მეწისქვილე იწვა და მძიმედ სუნთქავდა.

ზურიკო და გოგა გაოცებით მიაჩერდნენ მოხუცს.

— წყალი!—დაიხრიალა მეწისქვილემ.

ზურიკომ ტოლჩა წყლით აავსო და მოხუცს მიაწოდა.

მეწისქვილემ წამოწევა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. გოგამ თავი აუწია, ზურიკომ ტოლჩა პირთან მიუტანა და დაალევინა.

— რომლები ხართ?—ყრუდ იკითხა დემეტრე პაპამ.

— მე გოგა ვარ, ეს—ზურიკო.

— ჰო, გოგა, ზურიკო... ჩემი ხნის მოიყვანეთ, კარგები ყოფილხართ,—წაილულლულა მოხუცმა და რაღაცას დახახულად ზიაყურადა, ასე იყო ერთხანს, მერე ერთბაშად წამოიწია, აკანკალებული ხელი დოლაბებისაკენ გაიშვირა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ დაიხრიალა:

— წყალი, წყალი გადააგდეთ! დაიწვა ქვები... წყალი!..

დაბნეული ბიჭები, ჯერ ვერ მიხვდნენ, რას ამბობდა დემეტრე პაპა, მერე კი უცებ გაერკვნენ, რაც ხდებოდა: ხვიმირაში ხორბალი გამოლეულიყო, ცარიელი დოლაბები ნაპერწკლებს ისროდნენ. მომაკვდავივით ხროტინებდა წისქვილი... თავ-პირის მტვრევით გაცვივდნენ გარეთ, ღარში მიმავალი წყალი სხვა მხარეს გადაუგდეს და ისევ უკან დაბრუნდნენ. მკვდრული მდუმარება გამეფებულიყო წისქვილში, მეწისქვილე ისევ გულალმა იწვა. მარცხენა მკლავი ძირს გადმოვარდნოდა, მძიმედ სუნთქავდა და რაღაც გაუგებარ სიტყვებს ბუტბუტებდა. ორივესთვის ცხადი გახდა, რომ მოხუცი ავად იყო და სიცხიანს აბოდებდა.

— ექიმი მოვიყვანოთ,—პირველად ზურიკომ ამოილო ხმა,—გასინჯავს და წამალს გამოუწერს.

ბიჭებს ბევრი არ უფიქრიათ, მაშინვე გარეთ გამოვიდნენ და საექიმო პუნქტისაკენ მოკურცხლეს.

— ძალიან არის ავად,—ქლოშინით ამბობდა ზურიკო,—მერე ორივე შეჩერდა,—არა, ძმაო, მე აღარ გავაბრაზებ, როგორც კი გამოკეთდება, ვეტყვი, რომ ყველაფერი მაპატიოს.

— მეც ვეტყვი,—თქვა გოგამაც.

— სულელები არ ვიყავით, რას ვერჩოდით კრამიტებს.

— აბა, აბა!

— ახლა უკვე პატარები აღარ ვართ!—წამოიძახა ზურიკომ.

— მართალი ხარ! მე საცაა ცხრა წლის გავხდები,—დაეთანხმა გოგა.

ბიჭებმა გაოცებით შეხედეს ერთმანეთს, თითქოსდა, აბა, რაღა დროს ჩვენი ასეთი ქცევაა, კიდევ რაღაცის თქმაც დააპირეს, მაგრამ უცებ გაახსენდათ, რომ ასე ერთ ადგილზე დგომა საქმეს არ გამოადგებოდა და ფაცხაფუცხით სახექიმო პუნქტისკენ გაუტიეს.

უცნობი ჯარისკაცის საფლავთან

შალვა შუბლაძე

აქ მშვიდად სძინავს გმირთაგმირს,
ვინაც ჯერ სულმთლად ყმაწვილმა
სამშობლოს გადასარჩენად
მტერს თავზე ტყვია აწვიმა.
მაგრამ მუხთალმა სიკვდილმა
ამ გმირთაგმირსაც უწია.
ახლა აქ წევს და ჰადრები
ტოტებს, ვით მკლავებს უწვდიან.
სამშობლოს შეწირულები
არიდეს არა კვდებიან.
მოდიან ოქტომბრელები,
გმირის საფლავთან დგებიან,—
ფიცს სდებენ,
დედა—სამშობლოს
ერთგულნი დაეზრდებიან.

ნახატი ედუარდ ამბოკაძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სასწრაფო დახმარება

ოტია იოსელიანი

სასწრაფო დახმარება მოგვიანებით მოვიდა. ზაზა ერთიანად გალუმპულ ბებიას უჯდა კალთაში და ისევ გულს აზიდებდა. დეიდა ეკვირინე და უჩა ჩვრებით იატაკზე დამდგარ წყალს აშრობდნენ. ექიმს გულის ხუთვა სჭირდა და მეხუთე სართულზე ამოსვლა ვერ შეძლო, ქვევით ფანჯარასთან დადგა და მაღლა ოქროსფერკულულებიანი, წითელტუჩებიანი ექთანი ამოგზავნა.

— სადა ხართ ამდენ ხანს!—სველი ჩვარი მოუქნია ექთანს დეიდა ეკვირინემ.

— გვიშველე ექიმო, ბალღი ხელში გვაკვდება!..—შეევედრა ბებია.

ექთანმა ჯერ დეიდა ეკვირინეს შეუბღვირა, მერე ზაზას გაუღიმა და გაეცინა:

— მე დეიდა ნუციკო ვარ.

გალურჯებულმა ზაზამ უარის ნიშნად თავი გადააქნია: გაცნობისა და დამეგობრების გუნებაზე არა ვარო. უჩა კი მაშინვე ეცა და სველი ხელი ჩამოართვა.

— მე უჩა ვალ... ზაზას მეგობალი.

ექთანმა ხელი ხალათზე შეიმშრალა და ახალგაცნობილსაც გაუღიმა.

— რა გქვია ბიჭუნი?—ჰკითხა ავადმყოფს.

ზაზამ ისევ თავი გადააქნია, მაგრამ უჩა იქ არ იყო!

— ზაზა ქვია, ჩემი მეგობალია...

— ნუციკო, რა ამბავია მანდ!—ამოსძახა ეზოდან გულსუსტმა ექიმმა. ექთანი ფანჯარასთან მივიდა და გადასძახა:

— ავადმყოფი არ ლაპარაკობს, მხოლოდ თავს აქნევს!

ამ ძახილზე დეიდა ეკვირინე გამოვარდა გაწურული ჩვრით და იკივლა:

— რა დროს ფანჯრიდან გადაძახებ-გადმოძახებაა, ბავშს უშველეთ!

ექთანს აღარ გაღიმებია, ისე იკითხა:

— რა დაემართა?

დეიდა ეკეირინემ ბებიას შეხედა, ბებიამ ხელები გაასავსავა:

— არაფერი...

— რა ამბავია მანდ?—იკითხა ეზოდან ექიმმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არაფერი!—მიასკდა ფანჯარას ექთანი.

— მაინც? — დაინტერესდა ექიმი, — ავადმყოფი როგორ გამოიყურება?

— ლურჯ-მწვანედ!—გაეპასუხა დეიდა ნუციკო.

— რა აჭამეს, თუ ახსოვთ?—შეუდგა მკურნალი დიაგნოზის დადგენას ეზოდან.

— რა აჭამეთ?—ჰკითხა ექთანმა დეიდა ეკვირინეს.

დეიდა ეკვირინემ ბებიას შეხედა, ბებიამ ხელები გაასავსავა.

— არაფერი...

— არაფერი!—გადასძახა დეიდა ნუციკომ ეზოში.

— რა დაალევინეს?—მოისმა ეზოდან.

— რა ასვით ბავშვს?—იკითხა უკვე გულმოსულმა დეიდა ნუციკომ.

დეიდა ეკვირინემ ბებიას შეხედა. ბებია ისევ ხელების გასავსავებას აპირებდა, მაგრამ ამჯერად უჩას მიაჩერდა, უჩამ მაშინვე ახსნა ვითარება:

— წამალი!

— წამალი დაულევია, ექიმო!—გადასძახა ექთანმა ფანჯრიდან.

— ჰოო!—დაშოშმინდა მკურნალი. ექთანი დაიბნა. ეკვირინე გადაირია:—ამ ბავშვს წამალი და ნამკურნალები რა ეტყობა. ლურჯი სატინის ფერი ადევსო. დაავლო ხელი, აიხუტა გულზე და ექიმს ეზოში ჩაურბენინა. მკურნალმა ყურში რეზინები გაიკეთა, ნიკელის მრგვალი კოლოფი ჯერ გულზე დაიდო, თავისი სუსტი გულის ცემა დაითვალა და მერე ზაზას აუწია პერანგი. დეიდა ეკვირინემ ისევ შეიცხადა:

— სასინჯი რად უნდა. მთელ ეზოს ესმის ბავშვს მუცელი ისე უბუყბუყებს!

— მართალია, რაღაც საეჭვო ხმები ისმის,— დაეთანხმა ექიმი.

როგორც იქნა—ზაზა სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქროლეს. საიდან შეძვრა მანქანაში უჩა, არავის დაუნახავს. მეგობრის გვერდით დაჯდა, მაგრამ მანქანა რომ უცებ დაიძრა, თვითონაც საკაცეზე გაიშოტა.

უშველებელი თეთრი სახლის წინ რომ გაჩერდნენ, შენობიდან ლურჯხალათიანი, პირგაუპარსავი კაცები გამოცვივდნენ, ზაზა და უჩა საკაცეზე გაშხლართეს და გრძელ დერეფანში ძუნძულით გააქანეს. უჩამ წამოდგომა დააპირა, მაგრამ ურჩობა არ გაბედოო, გააფრთხილეს და თეთრ ოთახში

ნასატები ვახტანგ გულისაშვილისა

ტახტზე ორივე გულაღმა დააწვინეს. ამ დროს ჩაიდნით თბილი წყალი შემოიტანეს, წყალი უმცროსისაო და უჩას პირზე მიაყუდეს.

— მე ალა! მე მეგობალი ვალ!..

— მეგობარი რომა ხარ და კარგი ბიჭი, ამიტომ უნდა დალიო,—აუხსნა ლურჯთვალებიანმა, ცხვირაპრეხილმა დეიდამ.

— ზაზას მოუხდება?—იკითხა უჩამ.

— შენ რომ დალევ, შენ მოგიხდება...—ახსნა დააპირა ცხვირაპრეხილმა დეიდამ.

უჩამ ფეხები გაასავსავა:

— მე ალა, მე ალა!..

— შენს მეგობარს, შენს მეგობარს მოუხდება, ოღონდ დალიე!—ლურჯი თვალებიც კი წამოუწითლდა, ისე გაბრაზდა ექთანი. უჩას პირი ძალით გაუღო და ჩაიდნის ტუჩი ჩაჩარა. უჩასაც ბარემ მეგობარს ხომ ვერ უღალატებდა. სვა და სვა ცხელი წყალი. რაც მორჩა, ზაზასაც დაალევინეს და, როცა კუჭამორეცხილი მეგობრები პალატაში გადაიყვანეს, კარი დეიდა ეკვირინემ შემოგლიჯა.

— შვილო, სადა ხარ! აქ რა გინდა?!

უჩას ძალიან გაუკვირდა:—აბა, სად უნდა ვიყოო.

— აქ ვინ წამოგიყვანა?

— მე თვითონ, დედიკო.

— შენც მოწამღლული ხარ?

— ალა!

— მაშინ რატომ, რატომ, შვილო?!

— მეგობალი ვალ!—აუხსნა უჩამ დედას ამდენი დავიდარაბის მიზეზი.



ბელურები

არჩილ გეკაური

ზამთარ-ზაფხულ, ქარში, თოვლში,
ამ მთა-ბარის ერთგულები,
თბილ ქვეყნისკენ არ მიფრენენ
ეს ლაბუა ბეღურები.
გამოვაღებ დილით სარკმელს,
უხვად ვუყრი ხოლმე საკენკს.
— მადლობაო!—მომძახიან,
როცა მივალ სკოლისაკენ.

ნოემბერი

გონდო მუმლაძე

მზე რა ჩქარა ჩადის,
ღამით როგორ ცივა,
ცივი ქარი დაჰქრის,
ხეს ფოთოლი სცვივა.
თრთვილი ადევს—ყვითელ
ძირს დაფენილ ფოთოლს.
დინჯად ასკვნის ბაბუ:
— ახლა მალე მოთოვს.

ნახატი **დარეჯან ჭილაშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლამაზი ჭიჭლა

ქეთევან ხაჩიაშვილი

— ეს ბალღი ვისია, ქალო? წყალზე ვინ გამოუშვა?—იკითხა ერთმა ქალმა, როგორც კი შორიახლოს გაჩერებული პატარა გოგონა დაინახა. სხვა ქალებმაც ახლალა მიაქციეს ყურადღება.

— გამოიპარებოდა! — წამოიძახა მეორე ქალმა, რიგში პირველის შემდეგ რომ იდგა და კოკა მილს შეუდგა. გოგონას თმა კოხტად ჰქონდა დავარცხნილი და ბაბთით შეკონილი. ლამაზყვავილებიანი ცისფერი კაბა ეცვა და შიშველი ფეხები პაწია ფლოსტებში წაეყო. ისეთი ფუნთულა იყო, ისეთი თვალმისავალი, ყველას ესიამოვნა მისი დანახვა.

გოგონამ რომ გაიგო—გამოიპარებოდაო, სახეზე თითქოს წყენამ გადაურბინა.

— არ გამოვპარულვარ, ბებია გახდა ავად და ცივი წყალი მოინდომა, დედა სამსახურშია, მამა სამუშაოზე, ჩემი და სკოლაში, რა მექნა, ისევ მე წამოვედი.

— ეს ხომ ელიკოა, გაატარეთ ქალებო, აავსოს თავისი ჭიჭლა!—წამოიძახა მესამე ქალმა,—ბებიას საკუთარი შვილიშვი-

ნახატი მანანა მორჩილაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია, იმან გაზარდა, დედას მაგისთვის არ ეცალა, თუმცა, მომეცი გენაცვალე ეგ შენი ლამაზი ჭიქლა, მე აგივსებ, ტალახში ფლოსტები დაგისველდება.

— არა, ბებოს ჩემი ხელით ავსებული წყალი ესიამოვნება!

ქალებმა ერთმანეთს შეხედეს და გაულიმეს. ელიკო ნავთან კი მივიდა, მაგრამ ჭურჭელი მილამდე ვეღარ მიაწვდინა. ერთმა ქალმა მხრებზე ხელები მოსჭიდა, ასწია და ისე აავსებინა ჭიქლა წყლით. მერე მშრალზე ციმ-ციმ გადმოსვა და ღიმილით უთხრა:

— აბა, პატარა ქალო, წაუღე ბებოს ცივი წყალი, მოამაგე ადამიანია,—თან გააფრთხილა:—მანქანა რომ დაინახო, გვერდზე გადადექ და გაჩერდი, სანამ არ გაივლის, ფეხი არ მოიცვალო, გესმის?

— ვიცი, როგორ არ ვიცი,—ელიკომ მადლიერებით შეხედა კეთილ მეზობლებს და გზას გაუდგა.

როცა სიცხიან ბებიას ცივი წყლით სავსე ჭიქლა მიაწოდა, შეწუხდა მოხუცებული:

— უი, მომიკვდეს თავი, როგორ გახვედი მარტო!

— დიდი გოგო ვარ, ბებია, რამ შეგაშინა, მთელი გზა ისე გამოვიარე, არც ერთი მანქანა არ შემხვედრია, არც ძაღლს შევუშინებივარ.

ბებიამ სველ-სველი ჭიქლა ჩამოართვა და როცა ცივი წყალი ჩაარუკრუკა, შვებით ამოისუნთქა.

— უჰ, შენ გაიზარდე, ჩემო იავ და ჩემო ვარდო, ახლა კი აღარ მოვკვდები, უბრალო წყალი კი არა, მაგ პატარა თითებით უკვდავების წყალი მომიტანე!

ელიკო ბებიას სასთუმალთან ჩამოჯდა, შუბლზე პატარა თითები დაადო.

— თავი კიდევ გტკივა?

ბებიამ გაულიმა.

— არა, შვილო, ხომ გითხარი, უკვდავების წყალი მომიტანე-მეთქი, ყველა სატკივარმა გამიარა.

— უჰ, რა კარგია!—შვებით ამოისუნთქა ელიკომ.

წვიმა

ლია ასათიანი

— კაკი-კუკი, კაკი-კუკი!
რომ ჩაესმის დიღას,
ნეტავ კარზე უთენია,
ვინ მოადგა მძინარს?
სახურავზე ცეკვა-ხტუნვა
გაუმართავს წვიმას
და აღვიძებს, ვინც სკოლაში
აგვიანებს—იმას.

პაწაწინა წვეთები

ქეთევან მიქაძე

ქარი ქრის და მოდის წვიმა,
ცელქი წვეთი პაწაწინა
წააქეზებს ამხანაგებს:—
ვინ გაასწრებს, აბა, წინა?!
გამარჯვება ყველას უნდა,
ჩამოდიან თავდაყირა,
ზოგი თავს რომ ქვაზე იმსხვრევს,
ზოგმაც—წყალში ჰპოვა ბინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბუდე

მერი გოლქვაძე

ხეზე, ტოტსა და ტოტს შუა, ცარიელი ბუდეა ჩამჯიდროებული. რახანია ჩიტები თბილ ქვეყნებში გაფრინდნენ, სიჩუმეც იმიტომ დასადგურებულა ირგვლივ...

— რა მოწყენილობაა! — ბუდემ ნაღვლიანად ახედა ხეს.

— ჰო, — დაეთანხმა ხე და გაყვითლებული ფოთოლი ჩაუგდო, — ნახე რა დაემართა.

— ჩემი გუდის ვარდები გამიფრინდნენ, მთელი ზამთარი უიმათოდ რა გამაძლებინებს?! — გააგრძელა წუწუნი ბუდემ.

— მოითმინე როგორმე, გაზაფხულზე დაგიბრუნდებიან, — დააიმედა ხემ და ახლა წითელი ფოთოლი ჩაუგდო.

— საწყალი ფოთლები... ჩემი ჩიტები ლამაზები იყვნენ, თანაც მხიარულები, მთელი დღე ჭიკჭიკებდნენ. იქ როგორღა იქნებიან ნეტავი?

— კარგად იქნებიან, ნუ დარდობ! — ღრმად ამოიოხრა ხემ...

უცბად ქარი მოვარდა, ფეთიანივით ეცა ბუდეს, ფოთლები ფრიალ-ფრიალით ამოყარა და თვითონ გაიჭიმა შიგ, დიდხანს მაინც ვერ მოისვენა: ჯერ იტრიალა, ფეხები აქეთ-იქით იქნია, მერე წამოხტა და სადღაც გაიქცა.

— ვითომ რა გააკეთა?! — მწყრალად გააყოლა თვალი თავის სახლ-ფულუროსთან მოფუსფუსე ციყვმა...

ქარი იქაურობას მოშორდა და ისევ სიჩუმე გამეფდა ირგვლივ. ცაზე უფრო მძიმედ და შავად ჩამოწვნენ ღრუბლები. მთებიდან ნისლმა ჩამოიარა; სიფრიფანა აბლაბუდასავით გაება-გაებღანდა სივრცეს, სადაც კი მოხვდა, ყველგან ჩაწვა-ჩამფუმფულდა, ყველგან მოთავსდა და ჩაეტია, იმ მოწყენილ ბუდეშიც...

— ქარივით გვერდებს მაინც არ მამტვრევს, ჩემი ჩიტების ბუმბულივით მსუბუქია, — თქვა ბუდემ.

— მართალია, ქარს ბევრად სჯობია, — დაეთანხმა ხეც.

— ვინ მჯობია?! — მაყვლის ბარდებიდან მწყრივით მიყუჩებული ქარი გამოვარდა, — ნისლი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მჯობია, ეს ზანტი, ზღაზვნია? რისი მაქნისია? არც მთლად ღრუბელია—წვიმად მოვიდეს, არც საბანია—ხეები დაგათბუნოთ!

— შენ მაინც გჯობია, შენსავით ყირაზე არ აყენებს ყველაფერს!—ხმას აუმაღლა ხემ.

— არაფერიც!—გულისგამგმირავად დაიწივლა ქარმა, გაკაპასებულმა წამოუარა ნისლს, საბურველივით ააცალა მიდამოს და სადღაც გადაკარგულში მოისროლა. ცოტათი გული რომ დაიწყნარა, ბუდეში ჩახტა და ისევ ამოხტა...

— აბა, იქნებ ძირი გააგდებინო როგორმე!—ქარს მუქარით თათი დაუქნია ციყვმა და მაშინვე ფულუროში შევარდა, რადგან ერთბაშად წვიმამ წამოუშინა.

ქარი არ კმაროდა? წამოვიდა და რა წამოვიდა! არემარეს თავზე დაემხო. წვიმის წვეთები ფუთფუთითა და ყივყივით ჩაკოტრიალდნენ ბუდეში.

ბუდეს აბურძგლა:

— ჩემს ჩიტებს ველარ დავხვდები, ან წვიმა ჩამომშლის, ან ქარი.

— ნუ გეშინია,—გაამხნევა ხემ,—აჰა, დაიჭი!—და ყვითელი ფოთოლი ჩაუგდო, მერე იმას წითელი ფოთოლი მიაყოლა, ნაცრისფერი, ყავისფერი. ფოთლებმა პირთამდე ამოავსეს ბუდე. ციყვმა ისე მაგრად ჩაძეკა ის ფოთლები, ერთი ციდა ადგილიც არ დაუტოვა ქარს, წვიმაც ველარ გაატანდა შიგ.

— ზაფხულშიც შენ მადექი ქოლგასავით!—მადლიერი თვალით ახედა ბუდემ ხეს.

ქარს ბოლმით გაეტენა გული:

— თუ ეგრეა, სულაც ჩამოვაგდებ ძირს!—გააგებულმა ზუზუნს და ქროლვას მოუმატა. წვიმამაც უფრო დასცხო. ქარი გარშემო ურბენდა ხეს, ხან ერთი მხრიდან ბუბნიდა ბუდეს, ხან—მეორიდან. დროდადრო ხის რომელიმე ტოტზე შემოჯდებოდა, სათითაოდ სწყვეტდა ფოთლებს და ქშიტინით გასწიოდა:

— ჩამოვაგდებ, რას გამიმაგრდება ბუდე, ჩამოვაგდებ!

— ვერ ჩამოაგდებ, ვერა!—ენას უყოფდა ციყვი ფულუროდან.

შეცივნული ხე კი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ტოტებით ებღაუჭებოდა წვიმით გაყლენთილ, დამძიმებულ ბუდეს.

ნახატები **გრიგოლ გაფრინდაშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათია

მირანგულ ავსაჯანიშვილი

ჩემო პატარა შვილო ნათია,
შენი თვალები ჩემი ხატია,
ამდენხანს შუქი რატომ ანთია,
უნდა გეძინოს—უკვე ათია.

იძინე ტკბილად ჩემო პაწია,
დედამ აკვანი ხომ დაგირწია,
დღემ უკვე ღამის გზაზე გასწია,
ტკბილმა ზღაპრებმაც ფარდა
დასწია.

ზაზა და გიგი

მარი აბრამიშვილი

ზაზას უყვარს ფაფა,
გიგის უყვარს კიტრი.—
დათვის ბელს ჰგავს ზაზა,
წრუწუნას ჰგავს გიგი.

მაკას წერილი

ელენე დიდიმამიშვილი

მაკას დედა გვწერდა:
მაკაც გწერთო წერილს...
შიგ ეხატა მხოლოდ
პაწაწინა ხელი.

ნახატი ნანა სულემენაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბექას ცხოვრების ეპიზოდები

ლერი ჩანტლაძე

კაჭერზე

მამამ ბექა კატერით გაასეირნა ზღვაზე. კატერი აქაფებულ ზოლს ტოვებდა წყლის ზედაპირზე.

— რატომ არის წყალი საპნიანი?—იკითხა ბექამ.

ანგინა

— ბექა, ყელი რატომ გაქვს შეხვეული?—ჰკითხა ნინომ.

— ხმა მტკივა,—უპასუხა ბექამ.

თეატრში

მამა და ბექა თოჯინების თეატრში დაგვიანებით მივიდნენ. ბექა ფეხების ბაკუნით გაიქცა დარბაზისკენ.

— სს... ჩუმად!—გააფრთხილა მამამ.

— რატომ, ვინმეს ძინავს?!—ჩურჩულით იკითხა ბექამ.

ფეხისწვერებზე

ბექა ტელევიზორს უყურებდა. ნინო ხმამაღლა სწავლობდა გაკვეთილს. ბექამ ითმინა, ითმინა და ბოლოს შეეხვეწა:

— ნინო, ფეხისწვერებზე ისწავლე რა, არაფერი მესმის!

ნახატები ედუარდ ამბოკაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალფუნცარი

თავსატეხი

შეავსეთ ცარიელი უჯრედები ზოოპარკის ბინადართა სახელებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ „ზოოპარკი“.
შეადგინა ქ. ბორის მო. წავლემ **გელა ტ-ბატაძემ.**





ბაჭიები და ბაყაყი

თინათინ კვირიკაძე

ბაჭიებმა ბაყაყს უთხრეს:
— ცეკვის წრეში დავდივართო,
კარგად როცა შევისწავლით,
თქვენც გასწავლოთ, არ გინდათო?

ბაყაყს გუღით გაეცინა,
უთხრა:—ჩემო პატარებო,
მთელ ცხოვრებას ხტუნვასა და
ცეკვაში არ ვატარებო?!

ძილის ზღაპარი

ლეილა ერაძე

მოვემზადე ძილისთვის,
ხელ-პირს ვიბან ძილის წინ.
ცხრა საათიც შესრულდა,
აი, დაჰკრა:—ძინ-ძინ-ძინ!

ჩქარა თუ არ დავწექი,
დედიკო გამიწყრება,—
რადგან ჩემი ზღაპარი
ზუსტად ცხრაზე იწყება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უქნარა

გეჭან სვანიძე

ბევრი ძილით, ჭამით, ძლომით,
ფისო ისე მსუქანია,
ძლივს ინძრევა, ქონი ალრჩობს,
მუდამ სახემწუხარეა,
ფეხზე დგომაც ეზარება,
თაგვებს, ვირთხებს უხარიათ.

გაღათერ არაგული

" " "

პირთხუნია გიგია,
ნუთუ არ გაგიგია,
ფისომ პირი დაიბანა,
ახლა შენი რიგია...

ანბანი


“ ქ
“ ს
ჯ ს
“ ‘ ‘ 3
ილ
“ ‘ ‘ ‘ ‘
ს
‘ ‘ ‘

6/75/74

ეროვნული
ბიბლიოთეკა

76055

ნახატი **მიხეილ სოლოვიოვისა**

ძია ცხრაკლიტულამ ცირკში ამ ორ ხუმარას სურათი გადაუღო. დააკვირდით და გაარკვიეთ — როგორ დგანან ისინი

მთავარი რედაქტორი **მ უ ხ რ ა ნ მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი**

სარედაქციო კოლეგია: ანზორ აბულაშვილი (პ/მგ. მდივანი), ედუარდ ამბოკაძე, კუკური გოგიაშვილი, ლეილა ერაძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯიმშერ მუჯირი, გიორგი როინიშვილი (სამხ. რედაქტორი), იორამ ქემერტელიძე, რობერტ ღარიბაშვილი, გივი ძნელაძე.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

Издательство ЦК КП Грузии

საქ. ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი.
ყდაზე ნახატი **ზაურ დეისაძისა**
გ ა ე ო ც ე მ ი ს 51-ე წ ე ლ ი.

ტექრედაქტორი **ედდი ფარეთელი**

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფ. — 93-98-19; სამდივნოსი — 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 17/VII-78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/X-78 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8 ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 158.000. შეკვ. № 2528 „Дила" № 11. на грузинском языке. ფასი 20 კაპ